ლიტერატურული საქართველო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 23 (278) გამოცემის მე-15 წელი

1971 წლის 10 დეკემბერი

დღეს ნომერშია:

ქართული სიტყვის დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია 80 წლისაა — მასალები წაიკითხეთ მე-4-5-6 გვერდებზე.

აწმ ვაჭრობის მინისტრის სტუმრობა საქართველოში (მე-2 გვერდზე).

გერმანელი მეცნიერი დისერტაციას იცავს ქართულ ენაზე (მე-7 გვერდი).

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი იუბილარია (მე-3 გვერდი).

დიდოსტატი კონსტანტინე



ქუთაისი ჩვენგანი ბევრჯერ ყოფილა მოწმე და თავისი თვალით უნახავს როგორ ხვდება ხალხი კონსტანტინე გამსახურდიას თბილისის ქუჩებში, ჭართლსა და იმერეთში, კახეთსა და სამეგრელოში, რაჭასა და გურიაში, მთელ საქართველოში... არასოდეს დამავიწყდება ერთი სურათი, ამ ხუთიოდე წლის წინათ რომ ვნახე: ჩაფიქრებული მიდიოდა კონსტანტინე ქუჩაში, შორიახლოს თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ყმაწვილები და ქალიშვილები მისდევდნენ. უცებ ერთი ქალიშვილი გამოეყო ამხანაგებს, გაიქცა მისკენ, მოჰხვია ხელები, მკერდზე აკოცა და ლამის კისერზე ჩამოეკიდა მოხუც მწერალს. მერე თითქოს გონს მოეგო, დაიბნეულა და ძლივს წარმოსთქვა ბოდიშის სიტყვები. ბოდიში აღარ იყო საჭირო — დიდმა სიყვარულმა თქვა თავისი სათქმელი.

მახსოვს, მეორეჯერ თელავიდან ვბრუნდებოდით მინდორში, კოლმეურნე ქალებმა კონსტანტინეს ვინაობა რომ გაიგეს, ირგვლივ შემოეჯარნენ და ერთმა მათგანმა მოკრძალებით ჰკითხა:

— ბატონო კონსტანტინე, გვითხარით, სად არის დედისიმედი, ცოცხალია თუ არა, იპოვნის თუ არა მას მეფე-ბატონი? (მწერალს მაშინ „დავით აღმაშენებელი“ ჯერ დამთავრებული არა ჰქონდა).

ეკითხებოდა კოლმეურნე ქალი მწერალს და, ჩანდა, დედისიმედი მისთვის ცოცხალი იყო, ისე სწუხდა, როგორც განსაცდელში მყოფი ღვიძლი დისათვის შეწუხდება ადამიანი.

კიდევ ბევრი რამის გახსენება შემეძლო, მაგრამ ესეც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი გატაცებით, როგორი მღელვარებით, რაოდენ განუზომელი სიყვარულით კითხულობენ საქართველოში დიდოსტატი კონსტანტინეს წიგნებს.

გიწოდოს მთელმა შენმა ხალხმა დიდოსტატი, გულში ჩაიხატოს შენი სახე და სახელი, მგზნებარედ შეიყვაროს შენი წიგნი, შენი სტრიქონი — ამას იოლად ვერავინ მიაღწევს, ეს მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულის ხვედრია.

XX საუკუნემ ეს დიდი აღიარება კონსტანტინე გამსახურდიას არგუნა წილად.

მთელ მსოფლიოში გაიტანა კონსტანტინემ საქართველოს სახელი, საქართველოს დიდი ისტორია და დიდი აწმყო. მის კალმის ქვეშ გაცოცხლდნენ საუკუნეები, მის ტილოებზე ნათლად და ცოცხლად გადაიხატა დღევანდელი აღორძინებული საბჭოთა საქართველო.

ახალი და ნოვატორული მოვლენა იყო მწერლის პირველივე რომანი „დიონისოს ღიმილი“. ეს არის ამბავი ქართველ ახალგაზრდა კაცზე, ჯერ კიდევ რევოლუციამდე უცხოეთში რომ გადაისროლა ბედმა, კაცზე, რომელმაც უცხოეთში განსწავლულმა და ბევრის მნახველმა, მოიარა ნახევარი მსოფლიო, პირთამდე აივსო მისი გული ქმუნვითა და მწუხარებით, და ბოლოს, ისე მოენატრა სამშობლო, როგორც დამწყვარ და სიცხიან უდაბნოში მყოფს წყალი მოენატრება, სიცოცხლის მომნიჭებელი. და აი, კონსტანტინე სავარსამიძე, მთავარი გმირი რომანისა, კვლავ ბრუნდება შინ, აწ უკვე თავისუფალ და განახლებულ სამშობლოში. „ისევ აქა ვარ, ჩემს მიწაზე. როცა უცხოეთიდან საქართველოში დავბრუნდი, მეგონა ხელახლა დავიბადე“.

ეს არის რომანი მთელი თაობის ბედზე.

მეორე რომანმა „მთვარის მოტაცებამ“ თვალწინ გადაგვიშალა 30-იანი წლების საქართველო, საკოლმეურნეო წყობილების დამკვიდრება. მწერალმა გვიჩვენა სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯიბრება ძველსა და ახალს შორის, მძაფრი გარდატეხები ყოფაშიც და ადამიანის სულშიც. გვიჩვენა ახლის გამარჯვება.

ისტორიულ რომანებში — „დიდოსტატის მარჯვენა“ და „დავით აღმაშენებელი“ ჩვენს თვალწინ გადაიშალა ძველი საქართველოს ცოცხალი მატიანე. აქ გამოჩნდა ქართული სულის ძლევამოსილება ხელოვნებასა და კულტურაშიც, პოლიტიკაშიც, ქვეყნის შიგნითაც და საერთაშორისო ასპარეზზეც... ვის არ უწერია საქართველოს ისტორიაზე, მაგრამ ასე ძლიერად არავის გაუცდია იგი, ასე არავის უგრძვნია და მკითხველისათვისაც არავის უგრძნობინებია, რამ გააძლებინა საქართველოს საშინელ ჭარიშხლიან საუკუნეებში.

„ვაზის ყვავილობაში“ მთელი სისრულით გამოჩნდა, რა განუზომელი ძალის შრომითი და მხედრული სიმამაცე შთააგონა ჩვენს ხალხს ახალმა ეპოქამ. რომანისტს თავისი გმირები მსოფლიო ასპარეზზე გამოჰყავს. ალაზნის ნაპირებზე დაბადებულ ქართველ ჭაბუკებს მეორე მსოფლიო ომის დროს ისტორიამ დააკისრა მონაწილეობა მიეღოთ იმ დიდ ბრძოლაში სამშობლოსა და თავისუფლების გადასარჩენად, მთელი მოწინავე კაცობრიობა რომ ეწეოდა. ავტორი თან გაჰყვა თავის გმირებს მსოფლიო გზებზე, თან გაჰყვა ევროპაში, მან ისიც გვიჩვენა, თუ რაოდენ შემზარავი, რაოდენ ჯოჯოხეთური იყო ის ხვედრი, რომელსაც ჰიტლერელები უმზადებდნენ კაცობრიობას.

აქ ვეღარაფერს ვამბობთ კონსტანტინე გამსახურდიას ბრწყინვალე ნოველებზე, რომელთაც ეპოქა შეჰქმნეს ქართული პროზის ისტორიაში, მის მშვენიერ ესეებზე, დიდად რომ აამაღლეს ქართული ფილოსოფიური და ესთეტიკური აზროვნების კულტურა.

კონსტანტინე გამსახურდიას ნაწერებში ჩვენ ვხედავთ და ვგრძნობთ სამშობლოს სიკეთესა და სილამაზეს, ეს წიგნები ამაღლებენ ჩვენს სულს, ზრდიან ადამიანს, უჩვენებენ კეთილ გზას, განუმტკიცებენ ჰუმანიზმის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის უკეთილშობილეს იდეალებს.

დიდ ქართველ რომანისტს, მწერალსა და მოაზროვნეს, აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიას 80 წელი შეუსრულდა. წლებმა ვერ მოტეხეს იგი, კონსტანტინე ძველებურად მოუსვენარი და დაუცხრომელია, სისტემატურად გამოდის პრესის ფურცლებზე, წერს ახალ რომანს დიდ თამარზე.

ვუსურვოთ ჩვენს საყვარელ მწერალს, დიდ ბატონს კონსტანტინეს დღეგრძელობა და ახალი წარმატებანი ჩვენი ხალხის, ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გიორგი ნატროშვილი



ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრი თბილისში



თბილისი ორ დღეს მასპინძლობდა ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრს მ. სტენსს, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში. მას თან ახლდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრის მოადგილეები ჰ. სკოტი და ა. გიბსონი, საბჭოთა კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს სავაჭრო მრჩეველი ლ. გოუდენი და სხვა ოფიციალური პირები.

სტუმრები იყვნენ მცხეთაში, რუსთავში, დაათვალიერეს თბილისის ძველი და ახალი უბნები, ეწვივნენ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში მათი ყურადღება მიიპყრო ქართულმა ოქრომჭედლობამ და ტიხრულმა მინანქარმა. სტუმრები დაესწრნენ საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული აკადემიური ანსამბლის კონცერტს და მოიხიბლნენ ქართველ მოცეკვავეთა ნატიფი ხელოვნებით.

საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დათვალიერების შემდეგ მ. სტენსმა განაცხადა:

— გამოფენის დათვალიერება თავისებური და უაღრესად საინტერესო მოგზაურობა იქო საქართველოში. ვნახეთ მრავალფეროვანი პროდუქცია, რომელიც თქვენთან მზადდება. შედარებით პატარა რესპუბლიკაში კეთდება ყველაფერი, დაწყებული ავეჯით და დამთავრებული ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებით. ეს დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გივი ჯავახიშვილმა სადილი გამართა ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრ მ. სტენსისა და მისი თანმხლები პირების პატივსაცემად.





სურათებზე: აშშ ვაჭრობის მინისტრი მ. სტენსი და მისი თანმხლები პირები საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილთან. მარცხნივ — ჯვარის მონასტერში. მარჯვნივ — საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. სტუმრად პიონერთა სასახლეში.

ალექსანდრე სარიშვილის ფოტოები.

მოუსმენენ ქართულ ოპერას

ქამთა სრბოლა ვერას აკლებს ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებითს მემკვიდრეობას. დღითიდღე მატულობს კომპოზიტორის აღიარება. უყვარდა, სადაც კი აჟღერებულა მისი მუსიკა, მას სულ ახალ-ახალი დამფასებელნი უჩნდებიან. იგი ახარებს და ატკბობს მსმენელთ.

გაისად ოპერა „დაისი“ დაიდგმება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ საარბრიუკენში, ქალაქში, სადაც მსოფლიო მასშტაბის ფესტივალები იმართება ხოლმე. ოპერის სანოტო მასალები და თარგმანი უკვე გაიგზავნა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ამის გარდა, ოპერა „აბესალომ და ეთერი“ დაიდგმება ლენინგრადის კიროვის სახელობის და კიევის შევჩენკოს სახელობის აკადემიურ თეატრებში. ლენინგრადში ოპერაზე მუშაობს დირიჟორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი კ. სიმონოვი, ხოლო კიევში — თეატრის მთავარი დირიჟორი ს. ტურჩაკი.

„დაისი“ შეტანილია ხარკოვის ოპერისა და ბალეტის თეატრის რეპერტუარში. ამ ოპერის გმირებს გაეცნობიან აგრეთვე პოლონელი მსმენელები ლოძის დიდი საოპერო თეატრის დადგმით.

ჩვენი ფოსტა

წერილი ჩეხოსლოვაკიიდან

ჯერმელად მრავალ მოკითხვას მოგახსენებთ, ჩემო საყვარელო და საკუთარო მეგობრებო, ძმებო, ძმისწულებო თუ დისწულებო, — არ ვიცი, როგორ მოგმართოთ. მე ვარ ფშაველი. ძალიან მოვხუცდი, მშობლიური ენა ცოტა დამავიწყდა და არ ვიცი, როგორ წაიკითხავთ ჩემს წერილს. მენა სკოლაში არ დავდიოდი. მამა ჩვენმა მითხრა, მე წერა არ ვიცი, მაგრამ როგორღაც ვცხოვრობო და ცხვარში გამგზავნა.

ახლა, ჩემო მეგობრებო, მივიღე თქვენი გამოგზავნილი გაზეთი, რამაც ძალიან გამაღარა. სუყველა წავიკითხე. ძალიან კარგად წერთ.

1960 წელს ვესტუმრე საქართველოს, ჩემს მშობლიურ კახეთს, ვიყავი ბულაჩაურში ჩემს დისწულთან, რომელიც მკოლაშია უჩიტელი. მკოლა ძალიან მამეწონა. 8 დღე ვიყავი თქვენს ქალაქში, მოვიხიბლე თქვენი კულტურით. ძალიან ბევრი და კეთილი საქმე გაგიკეთებიათ საქართველოში, ჩემო მეგობრებო.

დიდი მადლობელი ვარ თქვენი გაზეთის გამოგზავნისათვის. მეზობლებსაც ძალიან მოეწონათ თქვენი კულტურა, მშენებლობები და ფოტოინფორმაციები.

თქვენს გაზეთში წავიკითხე განცხადებები „დაგეძებენ, მოგელიან“. ამ განცხადებებში მოხსენებულ ადამიანებს, სამწუხაროდ, ვერც ერთს ვერ ვცნობ და არც არაფერი ვიცი მათ შესახებ, რომ გაცნობოთ.

ახლა იყავით მშვიდობითა და გამარჯვებით, ჩემო მეგობრებო. კიდევ და კიდევ დიდი მადლობა გაზეთისათვის.

გაუმარჯოს საქართველოს!

ლუკა თურქაშვილი

რედაქციისაგან:

ბატონო ლუკა!

მოხარული ვართ, რომ ჩვენი გაზეთი ესოდენ დიდ სიამოვნებას განიჭებთ. მოგვწერეთ, ჩვენი ქვეყნის რა ამბები გაინტერესებთ და თქვენს სურვილს დავაკმაყოფილებთ შეძლებისამებრ.

გისურვებთ ყოველივე კეთილს.

გაზეთ „საბჭოური ხელოვნების“ რედაქცია.

ჩვენი სტუმრები

ოთხ დღეს იმყოფებოდა თბილისში ცნობილი ამერიკელი მწერალი ჯონ ჩივერი და მილანის უნივერსიტეტის პროფესორი, იტალიის სლავური ასოციაციის თავმჯდომარე სანტე გრაჩიოტი. სტუმრებმა დაათვალიერეს გორი, იყვნენ რიკოთის უღელტეხილზე, მცხეთაში, ავიდნენ ჯვარზე. ეწვივნენ საქართველოს მწერალთა კავშირს.

ბატონი ჩივერი გაეცნო თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სწავლების სისტემას. პასუხი გასცა კითხვებზე, რომლებიც ეხებოდა ამერიკის შეერთებული შტატების თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ლიტერატურას.

ორი დღის წინათ ჩვენი ერისა და გერმანელი ხალხის კულტურული ურთიერთობის ისტორიაში კიდევ ერთი ნათელი ფურცელი ჩაიწერა: 8 დეკემბერს თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ქართულ ენაზე დისერტაცია დაიცვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქემ, იენის ფრიდრის შილერის სახელობის უნივერსიტეტის თანამშრომელმა, ენათმეცნიერმა ჰაინც ფენრიხმა. დისერტაციის თემა იყო: „ენათა გენეტიკური ნათესაობის დასაბუთების კრიტერიუმები და ადრინდელი საერთო ქართველური შუა ენის ძირეულ მორფემათა სტრუქტურის ზოგი საკითხი". ოფიციალურმა ოპონენტებმა — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ, ამავე აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შოთა ძიძიგურმა და პროფესორმა-დოქტორმა ტოგო გუდავამ, აგრეთვე აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ და სხვებმა საუკეთესოდ შეაფასეს.

ჰაინც ფენრიხი დაიბადა 1941 წლის 10 იანვარს სოფელ ჰამერში. ქალაქ მარზებურგის თორმეტკლასიანი სკოლის დამთავრებისთანავე, 1959 წელს გაიწვიეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ არმიაში. სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდეგ სწავლა განაგრძო იენის უნივერსიტეტში. თავდაპირველად სწავლობდა კლასიკურ არქეოლოგიას, შემდეგ კი კავკასიოლოგიის დაუფლებასაც შეუდგა. პროფესორ გერტრუდ პეჩის ხელმძღვანელობით შეისწავლა ქართული ენა და გაეცნო ქართულ კულტურას. 1965 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ასპირანტურაში შევიდა.

პირველ წელიწადს ფენრიხი იენის უნივერსიტეტში სწავლობდა, შემდეგ ორ წელიწადს კი სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თბილისში გერმანელ ასპირანტს მეცნიერულ ხელმძღვანელობას უწევდა აკაკი შანიძე.

ჰაინც ფენრიხი დღეს სიამაყით აცხადებს, რომ ფრიად ესახელება აკაკი შანიძის მოწაფეობა, რომ ამ დიდი მეცნიერის ხელმძღვანელობით იგი გაეცნო ძველი და ახალი ქართული ენის რაობაში, დახვეწილი მეცნიერული სიმკაცრე, ისწავლა ბევრი რამ.

აკაკი შანიძესთან ერთად სხვა ქართველი მეცნიერებიც არ აკლებდნენ გერმანელ სტუმარს ყურადღებას. ქეთევან ლომთათიძე აფხაზურ ენაში ამეცადინებდა, ევგენი ჯეირანაშვილი — უდურში, ზურაბ ჭუბინაშვილი — სვანურში და რუსუდან გაგუა — წოვათუშურში.

ორ წელიწადს საქართველოში ყოფნისას ჰაინც ფენრიხმა შეიყვარა ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი, ქართველ მეგობრებთან ერთად ფეხით მოიარა იმერეთი, ქართლი, კახეთი, ხევსურეთი. „ამ მოგზაურობის შედეგად, — გვწერდა პირად ბარათში ჰაინც ფენრიხი, — მეცნიერ ძალიან ღრმა მოსაზრებით შეიარაღდა ქართველი ერის სულიერი ცხოვრებისა და მატერიალური კულტურის საკითხებში. ძალიან გაეცანი ქართულ კულტურას, განსაკუთრებით ლიტერატურას (შოთა რუსთაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე). გაფასებ აგრეთვე ქართველი მეცნიერების მიღწევებს. თბილისში ყოფნის დროს ბევრი მეგობარი შეიძინე. ქართველები, ჩემი აზრით, ძალიან ნიჭიერი და გულღია ხალხია".

საბჭოთა კავშირში დაბრუნების ერთი წლის შემდეგ ჰაინც ფენრიხი მშობლიურ უნივერსიტეტში იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე — „პრობლემები მანქანური თარგმნისა ქართულიდან გერმანულზე".

სტატიაში ბევრი საინტერესო საკითხის განხილვის შემდეგ ავტორი ასკვნის, რომ ქართველ კავკასიოლოგთა მოღვაწეობის საუკეთესო შედეგია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" რვატომეული, აგრეთვე მოსამზადებელი სამუშაოები დიალექტური და ისტორიული ლექსიკონების გამოსაცემად. აღნიშნულია აგრეთვე, რა აქტიურ და პრინციპულ პრობლემებზე მუშაობენ ამჟამად ქართველი კავკასიოლოგები.

საინტერესოა ჰაინც ფენრიხის ნაშრომი „ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის", რომელიც მან 1968 წელს იენის უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებულში დაბეჭდა. ისტორიული ექსკურსის შემდეგ, რომელშიც ავტორი დაწვრილებით მიმოიხილავს რუსთაველის ადრინდელი და თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიურ და კულტურულ ყოფას, მეცნიერი ახასიათებს შოთას პოემის ზოგადსაკაცობრიო საკითხებსა და

ჰაინც ფენრიხი

რენესანსულ იდეებს, არჩევს იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის ნაწარმოებებს, მიუთითებს, რომ რუსთაველი არ იყო იმდროინდელი საქართველოს მანათობელი ერთადერთი ვარსკვლავი.

ჰაინც ფენრიხი ლაპარაკობს „ვეფხისტყაოსნის" ლაისტისეულ და ჰუპერტისეულ თარგმანებზე, აღნიშნავს, რომ პოემა განეკუთვნება მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ეპიკურ ქმნილებათა რიცხვს; გარჩეულია პოემის ენა, სტროფების რაოდენობა და ხაირობა, რითმი და რიტმი, მეტრი და ცეზურა, დაბალი და მაღალი პაირი, მათი ურთიერთშენაცვლების მეცნიერული ლოგიკა. ავტორის აღნიშვნით, ყოველი სტროფი არის ოსტატურად დასრულებული და ხელოვნების თვალსაზრისით განუმეორებელი ქმნილება.

„დაუვიწყარია, — აღნიშნავს ავტორი, — ამ ეპოქის ნიშანდობლივობა ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების ჩამოყალიბებისათვის. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი იქცა ქართველი ხალხის ეროვნულ საუნჯედ, საზოგადოებრივი ღირსების გამომხატველ ძეგლად".

ჰაინც ფენრიხი აღნიშნავს, რომ შოთას პოემა გაასხვავებულია რენესანსული იდეებით, და რომ თვით პოემა შეიქმნა ორასი წლით ადრე, ვიდრე ევროპაში დაიწყებოდა რენესანსი. ბოლოს, მოყვანილია ავტორისეული თარგმანი შოთასადმი მიძღვნილი ირაკლი აბაშიძის ლექსისა „შენ აქ ხარ?", ნაშრომს ახლავს რუსთაველის ახლად აღმოჩენილი სურათი და პოემის ქართული ხელნაწერის რვასტრიქონიანი ნაწყვეტი.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართული კულტურის დღეებში, 1969 წელს, ჰაინც ფენრიხმა არ დაიშურა ცოდნა და ენერგია ჩვენი ერის სულიერი მონაპოვრისა და ხელოვნების პოპულარიზაციისათვის. თავის მშობლიურ უნივერსიტეტში მოაწყო ქართული ლიტერატურის გამოფენა, წაიკითხა ორი ლექცია-მოხსენება. ამის გარდა, გერმანიის კომპარტიასთან სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „ნოიეს დოიჩლანდში" დაბეჭდა წერილი: „ძველი, ახალი კულტურის ნაკვალევზე". მასში ლაპარაკია ქართული კულტურის უდიდეს ტრადიციებზე, ქართველ ენათმეცნიერთა მიღწევებზე, იმ წვლილზე, რომელიც შეაქვთ გერმანელ კოლეგებს კავკასიოლოგიის წარმატებაში. „ისინი, — აღნიშნავს ავტორი, — სწავლობენ ქართულ ხელოვნებასა და კულტურას, რუსთაველისა და პეტრიწის ქვეყანას, დიდი პოეტების — ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის სამშობლოს, რათა მოუპოვონ მათ დამსახურებული ადგილი მსოფლიო კულტურაში".







სურათებზე: დაცვის წინ — აკაკი შანიძე, ჯუნდო მეტრეველი, ჰაინც ფენრიხი. კათედრაზეა ჰაინც ფენრიხი. დისერტაციის დაცვამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

ედუარდ ბიგილაშვილის ფოტოები

„გაცნობთ მეგობრებს" — ასეთი რუბრიკით იენის უნივერსიტეტის გაზეთმა „სოციალისტაში უნივერსიტეტმა" თავის მკითხველებს მიაწოდა სტატიები გამოჩენილ ქართველ მეცნიერებზე, აკადემიკოსებზე: ილია ვეკუაზე, აკაკი შანიძეზე, შოთა ძიძიგურზე და სხვებზე; ამ სტატიების ავტორი ისევ ჩვენი მეგობარი ჰაინც ფენრიხია.

ყველაფერი, რაც ახალგაზრდა მკვლევარმა გააკეთა, მხოლოდ მისი მოჭალაჭობრივი საქმიანობისა და მეცნიერული სინდისის დასაწყისია. ვუსურვებთ ჩვენი ხალხის ალალ მეგობარს ჰაინც ფენრიხს წარმატებები და მიღწევები პირად ცხოვრებაში, საზოგადოებრივ და სამეცნიერო სარბიელზე.

შოთა რევიშვილი,
პროფესორი

მშობლიური სოფლის სიყვარული

სოფელი თავისი გაზრდილის, ცნობილი ქართველი პროზაიკოსის ელიზბარ მაისურაძის დაბადების 50 წლისთავს აღნიშნავდა.

მოსწავლეებმა იუბილარს კითხვა: რომელიაო თქვენი საყვარელი ლექსი?

— რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა", — უპასუხა მწერალმა ნორჩებს.

და სასირეთის საშუალო სკოლის აღზრდილმა, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტმა ელიზა ონუაშვილმა დიდი სიყვარულით წაიკითხა:

„სამშობლო დედის ძუძუი,
არ გაიცვლების სხვაზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა"...

საიუბილეო ლიტერატურული საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სასირეთის საშუალო სკოლის დირექტორმა შოთა ბახტაძემ. მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე საინტერესოდ ილაპარაკა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ჰელენა პაპინაშვილმა.

ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიდნენ ყმაწვილი ორატორები ციცინო დემეტრაშვილი და იოსებ ბერიაშვილი, ვლიზა ბახტაძე და ივანე დავითაშვილი, სასირეთის სკოლადამთავრებულები: თინა მაისურაძე, ნარირა დავითაშვილი, მანანა ქვრივიშვილი... მათ ილაპარაკეს მწერლის შემოქმედებაზე, მის ცალკეულ ნაწარმოებებზე, თავიანთ შთაბეჭდილებებზე.

მადლიერმა შემოქმედმა თანასოფლელებს გულითადი მადლობა გადაუხადა.

გიორგი ხორგუაშვილი,
კახეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი.

მარტყოფის წარსული და ახმყო

საქართველოს ერთ-ერთი უძველესი სოფლის — მარტყოფის მატიანე ჩვენი სახელოვანი ერის გმირული ისტორიის განუყოფელი ნაწილია. მარტყოფის ისტორიული ბედი მჭიდროდ არის დაკავშირებული თბილისის ბედთან. მარტყოფს თავისი გმირული წარსულითა და ისტორიული ძეგლებით მრავალჯერ მიუპყრია მკვლევართა თუ მოგზაურთა ყურადღება. ცნობებს ამ სოფლის შესახებ მრავალ ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროში ვხვდებით.

წიგნში — „მარტყოფის წარსული და აწმყო", რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" ახლახან მიაწოდა მკითხველს, ავტორი აკაკი მათიაშვილი სისტემატიურად მოგვითხრობს მარტყოფის ისტორიას, მის აწმყოსა და მომავალს.

ქართული მონასტერი ბულგარეთში

„პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი (წესდება) დაიწერა 1683 წელს ქართულად და ბერძნულად. ეს მონასტერი დაარსებულა გრიგოლ ბაკურიანის-ძეს, რომელიც იყო საბერძნეთის დასავლეთი მხარეების დიდი დემესტიკოსი ანუ მთავარსარდალი. აქ გადმოცემულია ტიპიკონის ქართული ტექსტი ძველი ხელნაწერის მიხედვით (დაახლოებით XIII საუკუნე), რომელსაც არ განუცდია მკრთმნდელი გადაკეთება, რაც ატყვია ბერძნულს, რომელიც ქართულ ტექსტზე ადრე გახდა ხელმისაწვდომი მეცნიერთათვის და რომლმაც გადანაკეთები ადგილების გამო წარმოშვა მცდარი შეხედულება და გაუგებრობა მონასტრის მშენებლის ერთვნული ვინაობის შესახებ" — ჭკვითხუთმობთ გამომცემლობა „მეცნიერების" მიერ „ძველი ქართული ენის". ძეგლების სერიით გამოქვეყნებული აკაკი შანიძის წიგნის — „ქართული მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი" — ანოტაციაში. წიგნში ქართულ ტექსტთან ერთად მოცემულია მისი რუსული თარგმანი შენიშვნებითურთ და გამოკვლევა (შესავალი და ძეგლის ენის მიმოხილვა).

შესავალი დაყოფილია შემდეგ თავებად: „სამეცნიერო ექსპედიცია ბულგარეთში", „ქართული მონასტრების ტიპიკონები", „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი", „ტანუტერი და ოსტივანი", „გრიგოლ ბაკურიანისძის ხელმოწერა" და „პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ხელნაწერები". „ტიპიკონის" ტექსტს თან ერთვის მისი ორთოგრაფიულ-გრამატიკული მიმოხილვა. ლექსიკონი და საკუთარ სახელთა საძიებელი. წიგნს ახლავს ილუსტრაციები.

ნაშრომს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და XI საუკუნის ბულგარეთ-საქართველოს ისტორიისათვის.

პირველი სესია

ახლახან გელათის სახალხო აკადემიაში გაიმართა პირველი სამეცნიერო სესია. აკადემიის საპატო დარბაზში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ მეცნიერები, მწერლები, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწენი, ჭუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაკები, მეზობელი რაიონების წარმომადგენლები.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა სასიქადულო მეცნიერებმა — აკადემიკოსებმა სიმონ ყაუხჩიშვილმა და შალვა ამირანაშვილმა, პროფესორმა ოთარ ლორთქიფანიძემ.

გელათის სახალხო აკადემიის პირველი სესია გახსნა აკადემიის რექტორმა, აკადემიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა. აკადემიის მსმენელებს გულთბილად მიესალმა შალვა ამირანაშვილი. მეცნიერმა აკადემიის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა თავისი ახლად გამოქვეყნებული ნაშრომები.

სესიის მონაწილეებმა მოისმინეს სიმონ ყაუხჩიშვილის მოხსენება გელათის აკადემიის სასწავლო პროგრამის შესახებ, შალვა ამირანაშვილის მოხსენება გელათის მოზაიკის შესახებ. ძველი ქოლხური ცივილიზაციის შესახებ აკადემიის მსმენელებს ესაუბრა პროფესორი ოთარ ლორთქიფანიძე.



საჭიდაო ოლიმპიის მკვიდრი

ლევანი სავარჯიშოში შემხვდა. ღიმილით დადიოდა. ეტყობოდა, გრძნობდა მშობლიური კუთხის ალერსს. ბიჭებიც მტრედის გუნდივით დასდევდნენ.

ახლახან ამ ჭაბუკმა მშობლიური ქალაქიც ასახელა და საქართველოც. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა სოფიის მსოფლიო პირველობაზე 23 წლის ფალავანი გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ჭეშმარიტად უფლებამოსილი ავიდა.

„...ჩემი პირველობისა ახლაც არა მჯერა. თითქოს ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. იმდენად მოულოდნელად, რომ თავი მსოფლიოს ჩემპიონობის ღირსად არც კი მიმაჩნია...“

რატომ მოულოდნელად?

ჭიდაობა პატარობიდანვე თავდავიწყებით შეუყვარდა. სახელოვანი გარჯული ფალავნები ხიბლავდნენ. ერთი ნაბიჯი, მოღუნული ბიჭი იყო. პირველ მწვრთნელს ვანო მკოკაშელს კი მისი დიდი იმედი ჰქონდა.

ჭიდაობდა ყველგან — ორლობეში, მდელოზე, სკოლის ეზოში და სასპორტო დარბაზში.

„მაშინ ყველანი ერთნაირები ვიყავით, ზოგს ვჯაბნიდი, ზოგი მერეოდა...“

გადმოვიდნენ ფალავნები, დაანგრიეს გალავნები...

ჭიდაობენ ზემოურები და ქვემოურები, გადმაუბნელები და გამოღმაუბნელები, ცოლიანები და უცოლოები, იღბლიანები და სახელის მაძიებლები.

ჭიდაობენ კაკლის ჩრდილში, ქვიშნარზე, ნახერხმოყრილ მიწაზე.

— არის! ორთავჯანია! არ არი! — ჭიდაობაში დიდად განსწავლულ გარეჯელებს ვერაფერს გამოაპარებ და ერთხმად გამოაქვთ მსჯავრი.

არისო, დაიძახებენ, თუ დაცემული ფალავანი ორსავე ბეჭზე აიკრავს ნახერხს, დამარცხების ამ უტყუარ ნიშანს.

...წყვილი დიდი ხანია ჭიდაობს, გამარჯვებული არა ჩანს. დაიღალნენ, მაგრამ სიფიცხე არ დაუკარგავთ, ორთავჯანია და მაყურებლები გააშველებენ ფალავნებს.

ძირს რომ დაეცემა ფალავანი და მხოლოდ ცალ გვერდზე აიკრავს ნახერხს — ჯერი არ არის. ჭიდაობა გრძელდება. მერე გამარჯვებულ-დამარცხებულნი გადაეხვევიან და ერთიმეორეს პირზე ჩაცქნიან.

კაკლების ჩრდილში თუ გელასების ეზოებში გამართულ შეჯიბრებებზე სწავლობდა ლევანი ქართული ჭიდაობის იღვთებს, მოწინააღმდეგის პატივისცემასა და დაფასებას.

ლევანი ღიმმორეული ჭიდაობს. არასდროს წუწუნებს, გამარჯვება ხომ ღირსეული იცის და სანამ დღევანდელ სახელს მოიხვეჭდა, დამარცხებაც ლამაზი იცოდა.

„...სოფიაში გამართულ მსოფლიო პირველობაზე ჩემი უფროსი მეგობარი შოთა ლომიძე მომეწონა, ისე ვაჟკაცურად ჭიდაობდა, რომ ჩვენთან ერთად ბულგარელებიც მოხიბლა და მეტოქეთა გულიც მოინადირა...“

მერე გარეჯელ ფალავნებზე ვლაპარაკობდით, ვადგენდით ამ რაიონის ყველა დროის უძლიერესი მოჭიდავეების იდეალურ ნაკრებს: კევლიშვილი, მარიდაშვილი, ქაიხოსროშვილი, ასლამაზიშვილი, გოგოლაური, ზურაბაული, ქარსაულიძე, ონაშვილი, ლეგენდარული მეკოკაშვილი... დაითვალა ლევანმა. მე ამ გვარებს თედიაშვილიც მივუმატე. ასეთი გუნდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თუ არა, პრიზიორი ყოველთვის გახდებოდა. წარმატებით იასპარეზებდა ევროპისა და მსოფლიო პირველობაზე. ეს იქნებოდა მხოლოდ გარეჯელებისა და გიორგიწმინდელების. მანავლებისა და პატარძლულებისგან შემდგარი გუნდი.

— არ ვიცი, გჯერათ თუ არა, მაგრამ ჭიდაობა ბევრ საიდუმლოებას ინახავს. ამ ზაფხულს მოსკოვში სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტულს უფრო ძნელად მივაღწიე, ვიდრე სოფიაში მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალს“.

სპარტაკიადაზე გადამწყვეტი შეხვედრა იური შახმურადოვთან ჰქონდა. ძნელი იყო მასთან შერკინება. ჭიდაობის თითქმის ყველა საიდუმლო იცის მსოფლიოში აღიარებულმა ამ ფალავანმა. ლევანმა მაინც დაჯაბნა მრისხანე მეტოქე, სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა და მსოფლიო პირველობისაკენ გაეხსნა გზა.

სოფიაში შვიდივე შეხვედრა მოიგო ლევანმა. სენეგალელი მოჭიდავე 45 წამში გააკრა ხალიჩას, შვეიცარიელი — 30 წამში, ირანელი — 80 წამში, პოლონელი — 40 წამში. ფაქტიურად ამის შემდეგ დაიწყო მისთვის ნამდვილი ჭიდაობა. აქ ლევანმა ნება დართო რუმინელ იორგას — ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორს, იაპონელ სასაკს — მსოფლიოს ოთხგზის პრიზიორს და გერმანელ შტატმასტერს, ცხრა წუთით ყოფილიყვნენ საჭიდაო ხალიჩაზე... პირველს სძლია ანგარიშით 9:1, მეორეს — 15:0, მესამეს კი 7:1. სოფიიდან ლევანი მსოფლიოს ჩემპიონად და სპორტის დამსახურებულ ოსტატად დაბრუნდა. მისმა მწვრთნელმა, საქვეყნოდ სახელმოხვეჭილმა ფალავანმა ვახტანგ ბალავაძემ საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიიღო.

„...ჭიდაობაში სამეცნიერო წოდებებს რომ ანიჭებდნენ, ვახტანგ ბალავაძე აკადემიკოსი იქნებოდა. აღზრდისა და სწავლების ბრწყინვალე მეთოდები აქვს. სწორედ მან სრულყო ჩემი ოსტატობა. მოჭიდავე ყოველთვის ვიქნებოდი, მაგრამ ვახტანგ ბალავაძე რომ არა, ვიქნებოდა მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გავხდებოდი...“


სულთა და ხელთა ერთგული ლევანი ჭიდაობას, მაგრამ არც სწავლას ივიწყებს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია.

„...მომავლისათვის რომელ პროფესიას ავირჩევ — მწვრთნელიხას თუ იურისტისას, ვერ გეტყვით. ახლა სტუდენტიცა ვარ და მოჭიდავეც. ორსავე საქმეს ერთნაირი მონდომებითა და გულისხმიერებით ვეკიდები. უკვე საგამოცდო სესიები მეწყება, ბიჭი ხარ და ნუ ჩაუჯდები წიგნებს. გაისად მიუნხენის ოლიმპიური ასპარეზობაა, ბიჭი ხარ და ნუ ივარჯიშებ...“

მერე ხმადაბლა გაიმეორა — გაისად ოლიმპიური ასპარეზობაა...

...ამბობენ, ლევან თედიაშვილი დიდი ხნით დამკვიდრდაო საჭიდაო ოლიმპოზე... შენს პირს შაქარიო.

ჯემალ ჟურხული



ჭიდაობს ლევან თედიაშვილი

დიმიტრი ჯავახიშვილი

გარდაიცვალა საქართველოს საკურორტო საქმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, გამოჩენილი სააბჭოთა კურორტოლოგი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი დიმიტრი ჯავახიშვილი.

დიმიტრი ჯავახიშვილი დაიბადა 1882 წლის 23 სექტემბერს გორის მაზრის სოფელ ძევერაში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1903 წელს შედის ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. სტუდენტობის პერიოდში აქტიურად მონაწილეობს რევოლუციურ მოძრაობაში, რის გამოც მეფის მთავრობამ აიძულა შეეწყვიტა სწავლა ოდესის უნივერსიტეტში. სწავლის განსაგრძობად იგი გადადის მოსკოვის უნივერსიტეტში, რომელსაც ამთავრებს 1909 წელს. ამავე წელს დიმიტრი ჯავახიშვილი ბრუნდება საქართველოში და წლების განმავლობაში მკურნალ ექიმად მუშაობს გურჯაანში, სადაც მთელი იმ მხარის მკვიდრთა საშვილიშვილო სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭა, როგორც უებარმა დასტაქარმა და სპეტაკმა მოქალაქემ.

საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსებიდან (1928 წელი) იგი ვიდრე ფიზიოთერაპიული ავადმყოფების ხელმძღვანელი, 1935 წლიდან კი ინსტიტუტის სამეცნიერო დარგის ხელმძღვანელი და მეცნიერი კონსულტანტი.

პროფესორ დიმიტრი ჯავახიშვილის კალამს ეკუთვნის 80-ზე მეტი მეცნიერული შრომა. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა მეტად მრავალფეროვანია — ეწეოდა კვლევითს მუშაობას როგორც კლიმატოთერაპიის, ისე ბალნეოთერაპიისა და ფიზიოთერაპიის დარგში. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის აბტალის საკურორტო-სამკურნალო ფაქტორების შესწავლაში და სახსრებდაავადებულ ავადმყოფთა საქართველოს ბალნეოლოგიურ კურორტებზე მკურნალობის მეთოდების შემუშავებაში. იყო თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის კათედრის გამგე, აღზარდა კურორტოლოგთა და ფიზიოთერაპევტთა მრავალი თაობა.

სამამულო ომის პერიოდში დიმიტრი ჯავახიშვილი დაუღალავი ენერგიით მუშაობდა ინსტიტუტის ბაზაზე გახსნილ ევაკოჰოსპიტალში სამკურნალო-სამედიცინო ნაწილის უფროსად.

პროფესორი დიმიტრი ჯავახიშვილი რამდენჯერმე იყო არჩეული თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად და მრავალი სამეცნიერო საზოგადოების წევრად, იყო თბილისის კურორტოლოგთა და ფიზიოთერაპევტთა სამეცნიერო-საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის კურორტოლოგთა და ფიზიოთერაპევტთა საზოგადოების საპატიო წევრი.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დიმიტრი ჯავახიშვილი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, მედლებით.

ქართველი ერის სასიქადულო ჯავახიშვილების გვარს გამოაკლდა კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი, ღვაწლმოსილი მეცნიერი და მასწავლებელი, თავმდაბალი ადამიანი და ალალი მოქალაქე.

არისტო ჯუმბაძე

გარდაიცვალა უბუცესი მწერალი და საზოგადო მოღვაწე არისტო ჯუმბაძე.

იგი დაიბადა 1880 წლის 1 სექტემბერს კლდეეთში (ზესტაფონის რ-ნი) მასწავლებლის ოჯახში. 1904 წელს დაამთავრა სასულიერო სემინარია.

არისტო ჯუმბაძე სამწერლო ასპარეზზე გამოდის 1905 წელს. დაიბეჭდა მისი სტატიები და მოთხრობები: „კონსულტაცია“, „ბედნიერების მოლოდინში“, „მამულიშვილი“ და სხვა.

1905 წლიდან არისტო ჯუმბაძე სწავლობს სორბონის უნივერსიტეტის ლიტერატურულ ფაკულტეტზე. შემდეგ ბრუნდება საქართველოში. 1912 წელს ქუთაისში აარსებს ყოველდღიურ გაზეთ „კოლხიდას“. 1914 წელს რედაქტორობს გაზეთ „სახალხო ფურცელს“.

1914 წელს არისტო ჯუმბაძე პარიზში ბრუნდება და სორბონის უნივერსიტეტში ამზადებს დისერტაციას ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე — „გუსტავ ფლობერის ცხოვრება და შემოქმედება“. 1915 წლის ბოლოს იაპონიაში საფრანგეთის ელჩად დანიშნულ ჟიუსერანს არისტო ჯუმბაძე მიაყავს თავის თანამშრომლად.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ არისტო ჯუმბაძე ბრუნდება საქართველოში. მუშაობს გაზეთ „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ფილიპე მახარაძის მოწვევით იგი იწყებს მუშაობას ცაკში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე, მუშაობს საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნად.

არისტო ჯუმბაძეს ამხანაგობა ჰქონდა გამოჩენილ ფრანგ მწერლებთან: ვაიან კუტიურიესთან, ანრი ბარბიუსთან და სხვებთან.

არისტო ჯუმბაძემ თარგმნა ანრი ბარბიუსის, მორის ტორეზის, გუსტავ ფლობერის ნაწარმოებები, ანა ანტონოვსკაიას „დიდი მოურავი“, მიხეილ შოლოხოვის „გატეხილი უამრიო“, ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ (ნაწილი), სალტიკოვ-შჩედრინის, მაქსიმ გორკისა და სხვათა თხზულებანი.

არისტო ჯუმბაძე 1935-1960 წლებში მუშაობდა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციასა და საქმეში.

1960 წელს არისტო ჯუმბაძე სალიტერატურო და საზოგადოებრივ ასპარეზზე მნიშვნელოვანი დამსახურებისათვის დაჯილდოვდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

არისტო ჯუმბაძე ხანგრძლივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე ხარგებლობდა ამხანაგებისა და მეგობრების დიდი პატივისცემითა და სიყვარულით, როგორც ქართული ენის სიწმინდისათვის ერთ-ერთი შეუპოვარი მებრძოლი, ნათელი პიროვნება და აქტიური საზოგადო მოღვაწე.

არისტო ჯუმბაძის ხსოვნა მარად დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

დაგეძებენ, მოგელიან

ეკიფანე (ეფანე) კონსტანტინეს ძე შაქარაშვილს,

დაბადებულს 1915 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ერკეთში, ეძებენ მეუღლე — **ნორა,** ძმები — **გედევან, არონ,** დები — **ნატო, ლიდა,** ძმისწულები — **გურამ, ნუნუ, იზოლდა შაქარაშვილები,** მცხოვრებნი თბილისში, წალენჯიხის ქუჩა № 6.

ვლადიმერ გიორგის ძე ლაზარიაშვილს,

დაბადებულს 1922 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში, ეძებენ და — **თამარ,** ძმები — **ნიკოლოზ** და **ევგენი ლაზარიაშვილები,** მცხოვრებნი ქალაქ თბილისში, არმაზის ქუჩა № 9.

პეტრე ივანეს ძე ირემაშვილს,

დაბადებულს 1923 წელს კასპის რაიონის კავთისხევის სასოფლო საბჭოს სოფელ იდლეთში, ეძებენ მამა — **ივანე,** დედა — **ელო,** დები — **შურა** და **ნინო,** ძმა — **ამირან ირემაშვილები,** მცხოვრებნი თბილისში, შევჩენკოს ქუჩა № 12.

ღუღუნი იონას ძე კალანდიას,

დაბადებულს 1921 წელს წალენჯიხაში, ეძებენ დედა — **ეკატერინე,** მამა — **იონა,** და — **ჭოჭოშა,** ძმები — **შუქრი** და **იური კალანდიები,** მცხოვრებნი ქალაქ წალენჯიხაში, ლეო ქიაჩელის ქუჩა № 154.

დავით ავქსენტის ძე ლოლუას,

დაბადებულს 1916 წელს ცხაკაიაში, ეძებენ მეუღლე — **ნეონილა,** შვილი — **ომარ,** შვილიშვილები — **ლოლიტა** და **ლეილა ლოლუები,** მცხოვრებნი ქალაქ სოხუმში, მთის ქუჩა № 15.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმი და გაზეთ „სამშობლო“ რედაქცია ითხოვენ, რომ გარდაცვლილი ამ საზოგადოების პრეზიდიუმის ყოფილი პასუხისმგებელი მდივანი

გიორგი კავთიაშვილი

და თანაგრძნობას უცხოელებმა განსვენებულის ოჯახს.

რედაქტორი გივი კარბელაშვილი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, პოლონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

უფასო 4 კაპ.